

# კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

## V კლასი

### I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

- რომელ წყვილშია გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი?  
ა) თქვენი ოჯახი      ბ) ის თამაშობს      გ) ეს ქვეყანა
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული მიმართვა?  
ა) „დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი.“  
ბ) „არწივი ვნახე დაჭრილი.“  
გ) „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს.“
- რომელ სიტყვას არა აქვს მრავლობითი რიცხვი?  
ა) ქურთუკი      ბ) სიო      გ) სანდალი
- რომელ სიტყვას აქვს მრავლობითი რიცხვი?  
ა) მზე      ბ) ვაჟკაცობა      გ) ტელეფონი
- რომელი წყვილი არაა გადატანითი მნიშვნელობის?  
ა) გული გაუთბო      ბ) გულის ოპერაცია გაუკეთა      გ) გული მოუვიდა
- რომელია სწორი?  
ა) კოვზე      ბ) კალამმა      გ) კარგათ
- რომელი გამოხატავს მოქმედებას წარსულ დროში?  
ა) კრეფს      ბ) ბაასობს      გ) ჩააკნატუნა
- რომელი სიტყვა გამოხატავს მე-2 პირის მოქმედებას?  
ა) მეფობს      ბ) იზრდები      გ) ავიტან
- რომელია სწორი?  
ა) მადლობა მოუხადა      ბ) ბოდიში გადაუხადა      გ) ბოდიში მოუხადა
- რამდენი მძიმეა გამოტოვებული წინადადებაში?  
*„ ყვითელი ფოთლები, გამხმარი ტოტები, შემჭკნარი ვაშლები ერთმანეთში არეულიყო. “*  
ა) ერთი      ბ) ორი      გ) სამი

### II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

- რომელ წინადადებაშია გამოყენებული რთული სიტყვა?  
ა) ორგანიზაციას უკვე გამოუყვეს საოფისე ფართი.  
ბ) „ რუსთაველის პროსპექტზე სიარული ნუ მომიშალოს ღმერთმა...“  
გ) ტყე-ველმა დაიძინა მშვიდად.
- რომელ წინადადებაშია გამოხატული აღტაცება?  
ა) ნოემბრის დადგომისთანავე აცივდა საგრძნობლად.  
ბ) უჰ, რა მალე მოვიდა ზაფხული!  
გ) გაბრაზებული ბიჭი დაეშვა კიბეზე.
- ჩასვი მოქმედების სიტყვა წერტილების ნაცვლად:  
*„ იმედიანი დიდება მხიარულად დაფუსფუსებდა და ეზოში გაფანტულ წიწილებს თავს ..... “*  
ა) დასტრიალებდა      ბ) ებაასებოდა      გ) ეძახდა

14. რომელი წინადადების აზრია სწორი?

- ა) დედა შვილს სიურპრიზით დახვდა.
- ბ) შეწუხებული ყვითელი ფოთოლი ძალიან მხიარულობდა.
- გ) ფაფარაყრილი ცხენი ტროტუარზე მილასლასებდა.

15. რომელი ნაცვალსახელი ჩაისმება წერტილების ნაცვლად წინადადებაში?

*„სიკეთისათვის მადლობელი ვარ. .... რომ არ მომხმარებოდი, ალბათ, ვერაფერს გავხდებოდი, .... უმადურ ხეს ვერ მოვიშორებდი.“*

- ა) მე, ეგ
- ბ) შენ, ამ
- გ) ეგ, შენ

**III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)**

16. რომელ წინადადებაში ჩანს ერთდროულად შესრულებული ორი მოქმედება?

- ა) ოლიმპოზე ცხოვრობდა ერთი მხიარული ღმერთი, დიონისე.
- ბ) დიონისეს პატივსაცემად საბერძნეთში ორდღიან დღესასწაულებს მართავდნენ.
- გ) დიონისეს გულში ჩაეცინა და იფიქრა.

17. *„ერთ დღეს დიონისე მეფე მიდას ესტუმრა.“* - რამდენი სახელია მიცემით ბრუნვაში დასმული?

- ა) ერთი
- ბ) ორი
- გ) სამი

18. *„თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს.“* - რამდენი სახელია მოთხრობით ბრუნვაში დასმული?

- ა) ერთი
- ბ) ორი
- გ) სამი

19. *„თიკნად თუ თხად ქვეული იმალებოდა ნიმფებს შორის.“*

**რომელ ბრუნვაშია სიტყვები თიკნად, თხად?**

- ა) ნათესაობითში
- ბ) მოქმედებითში
- გ) ვითარებითში

20. რომელია სწორი შესიტყვება?

- ა) გაიგონა ანუ გამოფხიზლდა
- ბ) მოუსმინა ანუ ყური დაუგდო
- გ) გამოფხიზლდა ანუ ყური მოჰკრა

21. რომელია სწორად დაწერილი?

- ა) კითხა, თხოვა
- ბ) აბავს, ასხავს
- გ) ჰკითხა, სთხოვა

22. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

- ა) მე-10 , მე-100
- ბ) 4-ე 9-ე
- გ) მე-7-ე , მე-8-ე

23. რამდენ წინადადებაშია გამოყენებული რთული სიტყვა?

1. *ქალღმერთისაგან გულმიცემული იასონი იმედიანად დაადგა გზას.*
2. *ვაშლზე ოქროს ასობით ეწერა: უმშვენიერესს!*
3. *გაბრაზებულმა პენელოპემ ხერხი იხმარა.*

- ა) ოთხ წინადადებაში
- ბ) სამ წინადადებაში
- გ) ერთ წინადადებაში

24. მოცემულ მონაკვეთში რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა როგორი?

*„ თუ სადმე მაღალი, წარმოსადეგი, ლამაზნაკეთებიანი, ღონიერი, მოქნილი, მამაცი, ყოჩაღი და ჭკვიანი მამაკაცი შეგხვდა, თამამად შეგიძლია შესძახო: – შეხედეთ, ნამდვილი აპოლონია!“*

- ა) შვიდს
- ბ) რვას
- გ) ცხრას

25. ახსენით სიტყვა: ადათი ანუ

- ა) ადამიანის ოცნება
- ბ) ადამიანთა ჩვეულება, წესი
- გ) ხანგრძლივი დრო

**ბონუს–სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ ( 15 ქულა)**

**1. რიცხვით სახელს დაესმის კითხვა?**

- ა) როგორი?
- ბ) მერამდენე?
- გ) რას იზამს?

**2. რომელია მოქმედების სიტყვა?**

- ა) გალამაზებული
- ბ) გაფრინდა
- გ) მამული

**3. რომელი აღნიშნავს ერთზე მეტს?**

- ა) უამრავი
- ბ) პირველი
- გ) სკამი

**4. ანბანის მერამდენე ასოა „ ს“?**

- ა) მეოცე
- ბ) მეცხრამეტე
- გ) მეთვრამეტე

**5. დეფისი იწერება:**

- ა) ორ წინადადებას შორის
- ბ) ორ სიტყვას შორის
- გ) საერთოს არ იხმარება